



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გრიგოლია გურამ კონსტანტინეს ძე



გ. გრიგოლია

გრიგოლია გურამ კონსტანტინეს ძე (13. III. 1932, თბილისი, - 25. VI. 2020, იქვე), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1994). 1955 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1956-77 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტში, 1977-82 - საქართვე. მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. 1984-იდან არის თსუ-ის ლექტორი, 1992-2006 - ამავე უნ-ტის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი, ხოლო 2007-იდან - თსუ-ის პუმანიტარული მეცნიერების ფაკ-ტის არქეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი. სადაზვერვო მუშაობის შედეგად გამოავლინა მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის არქეოლ. ძეგლი. მისი მონაწილეობით გაითხარა ბრილის სამაროვანი (1952-53); ხოვლეგორა (1955-57);

წოფის (1957-58), წონისა და ჯრუჭულის (1958-63), ქვაჭარისა და სვანთა სავანის (1958-65) მღვიმეები; ენგურის ხეობის ძეგლები (1963-71); ხორშის ნეოლითური ნამოსახლარი (1966-81) და სხვ. გ-ს გამოკვლევები ძირითადად ეძღვნება პირველყოფილი საბ-ბის ისტორიისა და ანტ. ხანის საისტ. გეოგრაფიის პრობლემებს.

თბზ.: ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963; ცენტრალური (პალური) კოლხეთის ნეოლითი, თბ., 1977; საქართველოს არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები, თბ., 1992; ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.

